

## დავატებითი ინფორმაციისთვის

ზვიად გოცირიძე

პროექტის ეროვნული კოორდინატორი საქართველოში

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF)

წარმომადგენლობა კავკასიაში

მერაბ აღუქსიძის ქ. 11, თბილისი 0193, საქართველო

ტელ.: + (995 32) 237 500

ფაქსი: + (995 32) 237 501

ელ-ფოსტა: zgotsiridze@wwfcaucasus.ge

[http://wwf.panda.org/what\\_we\\_do/where\\_we\\_work/black\\_sea\\_basin/caucasus/projects/eu\\_enrtp\\_caucasus/](http://wwf.panda.org/what_we_do/where_we_work/black_sea_basin/caucasus/projects/eu_enrtp_caucasus/)

Zviad Gotsiridze

Project Country Coordinator in Georgia

WWF Caucasus Programme Office (WWF-Caucasus)

M. Aleksidze Str. 11, 0193 Tbilisi, Georgia

Tel.: + (995 32) 237 500

Fax.: + (995 32) 237 501

E-mail: zgotsiridze@wwfcaucasus.ge

[http://wwf.panda.org/what\\_we\\_do/where\\_we\\_work/black\\_sea\\_basin/caucasus/projects/eu\\_enrtp\\_caucasus/](http://wwf.panda.org/what_we_do/where_we_work/black_sea_basin/caucasus/projects/eu_enrtp_caucasus/)

პროექტი ხორციელდება ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ქსელში შიდაგარე პარტნიორი ორგანიზაციების მიერ. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლიკაცია შესაძლოა არ ასახავდეს საკუთარ თავზე ევროკავშირის შეხედულებებს და მოსახერხებებს.

"ევროკავშირში შემავალმა 27 წევრმა სახელმწიფომ გადაწყვიტა ერთმანეთთან თანდათანობით დაეკავშირებინა საკუთარი შესაძლებლობები, რესურსები და ბედი. ევროკავშირის არსებობის ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში მათ შეძლეს შეექმნათ სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ერთიანი სივრცე და ამავდროულად შეენარჩუნებინათ კულტურული მრავალფეროვნება, შემწყნარებლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის უნარი.

ევროკავშირი მოწოდებულია გაუზიაროს საკუთარი მიღწევები და ფასეულობები იმ ქვეყნებსა და ხალხებს, რომლებიც მისი საზღვრების მიღმა იმყოფებიან."

ევროკომისია - ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ევროკავშირის თანამშრომელი პროგრამა „გაეროს დავადა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება — ენერტიკის საპროექტო ჩართვით“ (ENR TP)

# კლიმატის ცვლილების პირობაში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტი

(პროექტის № DCI-ENV/2010/221391)



პროექტს საქართველოში ახორციელებს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლობა კავკასიაში



# კლიმატის ცვლილების პირობაში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

## პროექტის კონცეფცია

პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) კლიმატის ცვლილებებისადმი ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

პროექტის ზოგადი მიზანი უკავშირდება ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორებიც არის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების გავლენის შედეგად ბიომრავალფეროვნების კარგვა და ამავე ფაქტორების გავლენის შედეგად ტყის ეკოსისტემების (ტყეების) სასარგებლო და დაცვითი ფუნქციების შესუსტება.

თავის მხრივ, ბიომრავალფეროვნება და ტყეების სასარგებლო და დაცვითი ფუნქციები ხელს უწყობს ადგილობრივი (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები) მოსახლეობის საარსებო პირობების — შემოსავლების წყაროების შენარჩუნებას.

## პროექტის ამოცანები

საცდელ სატყეო ფართობებზე (75 ჰა სიდიდის ორი საცდელი ფართობი — სულ საქართველოში 150 ჰა საერთო საცდელი ფართობი) ხელოვნურად გაშენებულ ტყეებში მათი ბუნებრივ ტყეებად ტრანს/ფორმირების მიზნით იმგვარი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებებისადმი მათი მდგრადობის დონის ამაღლებას;

საცდელი ფართობების მიმდებარე ტერიტორიებზე ადგილობრივი (სოფლად მცხოვრები) მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესება;

უფლებამოსილი სატყეო ორგანოების მუშაკთა ცოდნისა და ინფორმირებულობის დონის საგრძნობი გაუმჯობესება ტყეებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების სფეროში და მათი მოტივაცია შეუმუშაონ და განახორციელონ კლიმატის ცვლილებებისადმი ტყეების მდგრადობის ამაღლებისთვის საჭირო საადაპტაციო ღონისძიებები.

ფოტო: ხაშურის საცდელი სატყეო უბანი © მ.ძნელაძე, WWF

## მოსალოდნელი შედეგები

1. საცდელ ფართობებზე ხელოვნურად გაშენებული ტყეების ბუნებრივ ტყეებად ტრანს/ფორმირება, რაც ხელს შეწყობს კლიმატის ცვლილებებისადმი მათი მდგრადობის დონის ამაღლებას.
2. სატყეო-სამეურნეო მეთოდების შემუშავება ტყეების ტრანს/ფორმირების შესახებ.
3. კლიმატის ცვლილებებისადმი ტყეების მდგრადობის ამაღლების სფეროში უფლებამოსილი სატყეო ორგანოების შესაძლებლობათა ზრდა.
4. საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის ამაღლება.

